№ 265 დეკემბრის 9, კვირა. 1866—1884 დეკემბრის 9, კვირა. № 265.

ტფილისი

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; **ქუთაისში** — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; **ბათუმში** — მოსე ნათაძესთან; **თელავში** — ვანო როსტომაშვილთან; **გორში** — ადალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, დეკემბრის 9-ს.

თუ დახედავთ გეოგრაფიულ რუკას, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით შენიშნავთ საკმაოდ მოზრდილს ნახევარ კუნძულს, რომელსაც კორეია ეწოდება. ეს კუნძული შეადგენს განსაკუთრებულს სამეფოს, მაგრამ ჩინეთის მფარველობის ქვეშ ითვლება და მისსავე იმპერატორს გადაწყვეტილს ხარკს აძლევს. გასულ კვირას ამ ნახევარ-კუნძულზედ აჯანყება მომხდარა, მაგრამ ტელეგრამა არ მოგვითხრობს ვის წინააღმდეგ მომხდარა იგი, ან რა მიზეზით. ტელეგრამა ამბობს მხოლოდ რომ კორეიელებს ბანკეტის დროს მოუკლავთ ინგლისის ელჩი, კორეიის მეფის შვილი და ექვსი მინისტრი. მეფე-დედოფლის დახოცვაც ნდომებიათ, მაგრამ ერთი დამალულა და მეორე გაქცეულა. თუმცა შემდეგის ტელეგრამებიდამ სჩანს, რომ ჩინელებს აჯანყების დასამშვიდებლად კრეისერები გაუგზავნიათ ამ ქვეყანაში, მაგრამ მაინც ეს აჯანყება უნდა ევროპიელების წინააღმდეგ იყოს და არა ჩინელებისა. თუ მეხსიერება არ გვატყუებს, კორეიის მეფე და მისი სამინისტრო ცდილობდენ ევროპიულ წესების შემოღებას თავიანთ სამეფოში იაპონიელების კვალობაზედ და საფიქრებელია, რომ აჯანყება ამ ძველი წესების დარღვევამ გამოიწვია. რა თქმა უნდა რომ რაკი კორეიელები საზოგადოდ ევროპიელების წინააღმდეგ აჯანყდებოდენ, აღარ დაზოგავდენ აღარც ერთს ევროპიელს ერს და თან მიაყოლებდენ იაპონიელებსაც, რომელნიც აზიაში ევროპიელობენ. ალბად ამით თუ აიხსნება, რომ ინგლისელი ელჩი მოუკლავთ, იაპონელებთანაც შეტაკება მოხდენიათ და სხვა ევროპიელებსაც დასახოცად არა ჰზოგავენ. ეს აჯანყება, უეჭველია, გამოწვეულ უნდა იყოს ფრანსიელებთან ომის გამო და იმ ამაღელვებელი პროკლამაციების წყალობით, რომელნიც ჩინელებს ევროპიელების სიძულვილს უქადაგებენ.

⁂

ამ დღეებში იტალიის დედა-ქალაქმა დიდის ამბით იდღესასწაულა ჰუმბერტის დაბრუნება რომში. მთელი ქალაქი გარედ გამოეფინა, რომ ერთხმივი მადლობა ეძლვნა თავის საყვარელ ხელმწიფისათვის იმ თავ-განწირულებისა და სიმამაცის გამო, რომელნიც იმან ხოლერის დროს გამოიჩინა. იტალიის ერი გრძნობდა, რომ ხელმწიფის ერთმა გულადმა მოქმედებამ ყველა თანამდებობის პირნი ერთგულებისადმი წააქეზა და არა ერთი მსხვერპლი დაიხსნა შავის სიკვდილისაგან. ამ მადლიერმა ხალხმა ესეთი გულ-კეთილობა აღტაცებით გადაუხადა. ხალხს ბანი მისცეს მისმა წარმომადგენლებმაც და როგორც პალატამ ისე სენატმა ადრესები გაუგზავნეს მადლობის გამოსაცხადებლად.

⁂

გასაოცარი რამ სახელმწიფოა ავსტრიის იმპერია. კაცი ხელის თითებზედ ვერ დაითვლის თუ რამდენი ერი შეადგენს ამ სახელმწიფოს, ერი არა ისეთი, რომელსაც არა ჰქონდეს თავისი წერა-კითხვა, სეიმი, თვით-მოქმედება,—არა, ერი, რომელსაც თავის ასპარეზი აქვს სამოქმედოდ, თავისი ლიტერატურა, თავის ისტორია, ერთის სიტყვით თავისი კულტურა, მაგრამ ეს ერნი ერთმანეთში ისე თავსდებიან, რომ ერთი-ერთმანეთის მოქმედებას ხელს არ უშლიან; თუმცა გულში მტრობა აქვთ რამე ერთმანეთისადმი, თუმცა ამას აშკარად ამბობენ ხოლმე, მაგრამ საზოგადოდ კი ამ სხვა-და-სხვაობით სახელმწიფოს მაშინა ერთ ალაგას არა ჩერდება და თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო წარმატებას დაიკვეხებს, იქ ავსტრიასაც ხმა ამოელება.

მოგეხსენებათ, რომ ამ ჟამად ავსტრიას ავსტრო-ვენგრია ეწოდება, რადგან, როგორც პირველს, ისე მეორეს სრული თვით-მოქმედება აქვს მინიჭებული შინაურ საქმეებში. ახლა სლავიანებიც ცდილობენ ამ ტიტულში თითონაც წილი ჩაიდონ და ავსტრო-ვენგრია ავსტრო-ვენგრია-ბოჰემიად გადააკეთონ. შესანიშნავი ის არის, რომ ამ უკანასკნელ ხანს ვენგრიელები თითქო ხელს უწვდიან ავსტრიელ სლავიანებს და ყაბულდებიან მათთან უფლების გაყოფას. ხორვატიელი პატრიოტები ამას წინად პეშტში იყვნენ და ზდილობიანად იქმნენ მიღებულნი, როგორც ვენგრიის მინისტრ-პრეზიდენტის ტისასაგან, ისე საზოგადოდ ვენგრიის საზოგადოებისაგანაც. ესეთივე კავშირის ჩამოგდება ერთმანეთში დაეტყოთ აგრეთვე ვენგრიელებსა და ჩეხებს.

რითი აიხსნება ესეთი სითავმდაბლე ამაყი ვენგრიელებისა? აიხსნება იმით, რომ ვენგრიელები სიამოვნებით ყაბულდებიან, დაუახლოვდენ თავიანთ მოქიშპეთ, ოღონდ ამით დაბრკოლება და თუ შეიძლება აშკარად მტრობაც აღმოუჩინონ იმ დიდს მტერს, რომლისადმი სიძულვილი ჯერაც არ გამქრალა მათს გულში და დიდხანს ვერ გაჰქრება. ვენგრიელებს ეშინიანთ, რომ რასის ნათესაობამ არ გაიტაცოს ავსტრიელი სლავიანები მათ ბუნებრივ მოკავშირისადმი და ამიტომ, იქნება ნაძალადევის გრძნობითაც ცდი-

---

«დროების» ფელტონი, დეკემბ. 9-ს

უცხოელის აზრი
«ვეფხვის-ტყაოსანზე»
პოემის გადათარგმნის გამო
ფრანცუზულს ენაზე.

(დასასრული*)

მეტის-მეტად ზედ-მიწევნილს ფსიხოლოგიურს მომენტს წარმოადგენს, ჩემის აზრით, შემდეგი სცენა „ვეფხვის-ტყაოსნისა“: ნესტანი დაემორჩილა გულის-თქმასა, მისწერა წერილი ტარიელს და მოიწოდა თავისთან. როცა ტარიელი მოვიდა, მან ველარაფრის თქმა ველარ მოახერხა... მხოლოდ ხანგრძლივმა მისმა შეხედვამ გააცილა იგი კარებამდე. — მამაცობა ყმაწვილის ქალისა, რომელიც ჰბედავს წიგნის მიწერას ყმაწვილ-კაცთან და მისი მოკრძალებული უხერხულობა!... და მერე კიდევ, ნადიმობის დროს, ტარიელის დაბრუნების შემდეგ ხატაეთიდამ, როდესაც მეფე ფარსადანი სულგრძელებით შეუნდობს მეფე რამაზს და როდესაც შეყვარებულნი ერთადა სხედან და ვერ გაუბედნიათ ერთმანეთის შეხედვა! ეს სცენაც შესრულებული აქვს პოეტს მეტად ზედ-მიწევნილის სინამდვილით და ხელოვნურადაც.

აი, კიდევ ეპიზოდი, რომელიც მიიქცევს ყურადღებას: ნესტანი შეიტყობს თავის სატრფოს ბედს იმ შინაურ ვაზირობის დროს, როდესაც გადასწყდა მისი გათხოვება, მოიწოდებს მას და, ღრმად შეწუხებული, სძლევს ახალგაზდა ქალის კრძალულებას, ვეფხვივით პირ-გამეხებული მივარდება და ყვედრებით ავსებს ლალატისათვის. მაგრამ ეს გაჯავრება მალე გაუვლის შემდეგ, როცა ტარიელი განუმარტებს თავის ქცევას მეფისა და დედოფლის წინაშე. უკანასკნელთ უცებ მოასწრეს ტარიელს და გამოუცხადეს განზრახულის ქორწინების ამბავი, რომლის შესრულებასაც ტარიელი ვერას გზით ვერ დაუშლიდა. ამ განმარტებაში გამოსჭვირს გრძნობა მისი თავ-მოყვარეობის შეურაცხყოფისა, იმისთვის რომ მეფემ და დედოფალმა თვით იგი დაივიწყეს და მისი სიძობა ფიქრად არც კი მოუვიდათ. განა იგი შესაფერი საქმრო არ იყო ნესტანისთვის? განა მის ძარღვებში მეფის სისხლი არ სჩქეფდა? მაინცა-დამაინც ტარიელი ეფიცება ნესტანს, რომ ფიქრადაც არ მომსვლიაო უარვყო ის უფლებანი, რომელნიც შენს თავს მე მაკუთვნებენო,—და ნესტანიც ერწმუნება მას, რადგან იცის მისი კეთილ-შობილური ხასიათის ამბავი. რას იზამთ, იმ თავითვე ასე უცქერის პოეტი ტარიელს; იგი, ყოველგან და ყოველთვის მის თხზულებაში პირ-და-პირი და პატიოსანია, ხოლო თუ ეს არ გამართლდა ამ შემთხვევაში, მეფის შესახებ, ეს, ჩემის ფიქრით, უფრო მისის შეურაცხყოფილის ამაყობის გრძნობისაგან წარმოსდგა, ვიდრე სხვა რამ გარემოებისაგან. ეს ადგილი ჰღირს იმად, რომ დიდხანს შეჩერდეს კაცი, მაგრამ ამ წერილს საგნად არა აქვს განხილვა პოემის დაწვრილებათა, და სჯობიან, რომ ეს დაწვრილებანი ჩემი გერმანიელ-მკითხველებისათვის შევინახო.

მე დამრჩა რამდენიმე სიტყვა ესთქვა კიდევ ორიოდ მომქმედ პირზე, რომელთაც მდუმარებით გვერდს ვერ ავუვლი, თუ არ მინდა, რომ პოემისადმი გულ-დაუდებლად მოქცევა დამწამონ. უნდა ვსთქვა, მაგ., როსტევანზე, რომელიც არის კაცი, სავსე სიბრძნითა და სიკეთითა, თუმცა თავისი ნაკლულევანებანიც მოეპოვება, რომელთაც პოეტი გვიჩვენებს ყველა მის სიკეთეთა-შორის. რა კარგს შთაბეჭდილებას აწარმოებს ჩვენზე, სხვათა შორის, ის სცენა, რომელშიაც იგი ავთანდილის ანდერძსა კითხულობს! მკითხველი ელის რომ აგერ მეფე გინრისხდება და, იქნებ, კიდეცა სწყევს, რომ ეს კეთილი კაცი უნდა მოთმინებიდამ გამოვიდეს ახლაო; მაგრამ ნამდვილად კი სრულიად სხვანაირად ხდება: იგი დამშვიდებული

---

*) იხილე „დროება“ № 264.

ლობენ ლიმილი უჩვენონ იმათ, რომელთანაც იქნება სხვა დროს სალაპარაკოდ თავიც არ გაეყადრებინათ.

პოლიტიკაში ყოველთვის ასეა: უძლიერესს და უუსიამოვნესს მტერთან ბრძოლისთვის ყოველი ერი მზად არის კავშირი ჩამოაგდოს მეორე ერთან, რომელთანაც სამტროს მეტი არაფერი აქვს, მაგრამ ეს მტრობა დროებით მეგობრობად უნდა გარდაქმნას იმ თქმულობის ძალით, რომ კაცმა მტრის მტერი მოყვრად უნდა ჩაითვალოს.

შინაური ქრონიკა

= თბილისში მოელიან გამოჩენილს ვიოლონჩელზე დამკვრელს დავით პოპპერს, რომელიც ქართულს თეატრში (არწრუნისეულში) გამართავს პირველს კონცერტს 27 მომავალს რიცხვს დეკემბრისას.

= ჩვენ მივიღეთ ქართულის წერისათვის გამოცემული რვეული, რომელიც დახაზულია ი. ზოგებაშვილისაგან შედგენილის საწერი „დედანის“ შესაბამად. ფასი ამ რვეულს დიდი არ აძევს. ოთხ-თაბახ ნახევარი ქაღალდია და სულ 5 კაპ. ღირს.

= გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ში სწერია, რომ, გორის მაზრის ერთ სოფელთაგანში, სახელდობრ, რუისში არსებობს უძველესი ტაძარი, რომელიც უწინ რუისელ მიტროპოლიტების (მროველთა) კათედრა იყო და დღეს ერთს მის მინაშენთაგანში თივა შეუნახავთ თურმე და ეს გარემოება ღრმად ამრწუნებს მრევლის რელიგიურს გრძნობასაო.

= „ნორ-დარის“ სიტყვით, პეტერბურგის უნივერსიტეტის სომეხ სტუდენტებს ამ დღეებში გაუგზავნიათ ვერცხლის გვირგვინი გარდაცვალებულის პატრიარხის ნერსესის საფლავზე დასადგმელად.

= ამ დღეებში, გაზ. „ნოვ. ობოზრენიის“ სიტყვით, ცნობილს მოჭიდავეს გლდანელს ქუთაისში კიდევ გაუმარჯვნია. მთელი ქუთაისი ფეხზე დამდგარა ამ უკანასკნელ ჭიდაობის დროს. გლდანელს წაუქცევია სამი ფალავანი. დეკემბრის 1 გამართული ჭიდაობიდამ შემოსული ფული, რიცხვით, 200 მან., ქუთაისის უფასო საქალებო სკოლისთვის გადაუციათ.

= „მოსკ. უწყ.“-ის სიტყვით სახელმწიფო რჩევაში გზის სამინისტროს წარუდგენია წინადადება, რომ 1885 წელს გადებულ იქმნას საჭირო ფული მაიკოპო—თუაპსის გზის გაყვანისათვის. კავკასიის მთავარ მმართებლის აზრით ამ გზის გაყვანით წარმატება მიეცემა ეკონომიურს მდგომარეობას შავი-ზღვის ნაპირა მიდამოებისას. ეს გზა, სიგძით 135 ვერსი, შეაერთებს ნოყიერს და ჯგუფად დასახლებულს მაიკოპის ხეობას თუაპსის მიდამოსთან. თუმცა ამ გზის კეთება 1866 წელს დაიწყო, მაგრამ სრულიად დამთავრებული ჯერაც არ არის ეს ფრიად სასარგებლო გზაო.

= გაზ. „მეღუს“ სწერენ შირაქიდამ, რომ იქ ძალიან გავრცელდა ცხვრის ქურდობაო. აქამდე თითო-თითოს იპარავდნენ და დღეს კი მთელს ფარასაც აღარა ზოგავენო. ამას წინად სოფ. გართაპკიდამ 130 ცხვარი გაურეკნიათ; ერთის დუხობორისათვის 14 სული ცხვარი მოუპარავთ.

= სომხურისავე გაზეთების სიტყვით, აგერ ორ კვირაზე მეტია, რაც სურამში და მის ახლო-მახლოდ მძვინვარებს ყვავილი. როგორც ქიზიყში, იქაც თურმე სახლი არ არის, რომ ყვავილით ავადმყოფი არ იწვეს და „იავნანის“ ხმა არ გამოდიოდესო. ადგილობრივი სკოლაც დაიკეტა, რადგან აღარავინ აღარ დადისო. მცხოვრებელთ ძველებური ცრუ-მორწმუნეობისაგან წარმომდგარის დონის-ძიების მეტი ხელში არა აქვთ რა ამ სენის საწინააღმდეგოდ. ეს გახლავსთ ბაზმა, რომელიც ისეთს სენს ავრცელებს სახლში, რომ კარგად მყოფს აც კი ხეირს არ დააყრის. მაზრის ექიმი ხან-და-ხან დაგვხედავს ხოლმე, მიმოხილავს ჩვენს დაბასა, მაგრამ ყვავილიან ავადმყოფებს არავითარ ყურადღებას არ აქცევსო.

= „ბაქოს უწყებათა“ სიტყვით, ძალიან გაცხარებულნი მუშაობენ თურმე ნავთის-მწარმოებელნი. ნავთოსანს მიწებს, რომელნიც უმაღლესად ებოძათ სხვა-და-სხვა პირთ, ყიდულობენ და უფრო-და-უფრო მეტს რაოდენობას აწარმოებენ ნავთისას. ამ დღეებში ერთს ფირმას, რომელმაც ოთხი დღიური იყიდა გენ. ამილახვარის მიწისა, უყიდნია ამ დღეებში ექვსი დღიური კიდევ მისგანვე. 20 დღიური თავ. მელიქიშვილისა იჯარით აუღია 20 წლით შირაევის ფირმას და სხვა-და-სხვა.

= ამავე გაზეთში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ბათუმიდამ. კორესპონდენტი შიშობს, რომ ბათუმსაც ის არ დაემართოს, რაც დაემართა ოდესსას პორტო-ფრანკოს მოსპობის შემდეგ, ე. ი., რომ აქაც არ გაჩნდეს უცხოელი ფულიანი კაცები და ხელში არ ჩაიგდონ მთელი ვაჭრობაო. კიდეც გაჩნდენ ეხლა თურმე ამ გვარი ფულიანები და ჯერ ნელ-ნელა ქსოვენ თავიანთ ბადესაო. ამბობენ, განაგრძობს წერილის ავტორი, რომ ერთს აქაურს დიდს ქარხანას თუნუქისა და ხეების ხერხვისას, რომელიც 1 მილიონი დაჯდარა, ჰყიდულობსო სიფრანგეთის როტშილდი. მას მოჰყვებიან გუდ-ბაწარასავით, კოლანები, მოლანები კამპანიებით და მაშინ მშვიდობით—დაილუპება რუსის ვაჭარი, ადგილობრივი მემამულე, ბათუმელი სახლის პატრონიო. თქვენ— ანუგეშებს ავტორი ბაქოელებს—რა გიშავთ: ერთი უცხოელი ფირმა ვერას დაგაკლებთ, ვერ მოჰკლავს რუსის ვაჭრობასა და წარმოებას; თქვენ სპარსეთის შიშიც არა გაქვთ და ჩვენი საქმე კი სულ სხვა არის.

ამას გარდა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბათუმი მომავალი ნიცა გახდება, ისეთი თბილი და მშვენიერი ჰავა აქვსო.

„დროების“ კორესპონდენცია

—

გურია, ნოემბრის 15-ს. ახლა კი ცოტათი შევისვენეთ ხანგრძლივისა და დაუღალავის შრომისგან; შევაგროვეთ ჩვეულებრივ საზამთრო საზრდო და თავისუფლად შეგვიძლიან მივუსხდეთ თბილ ბუხრებს და დავსტკბეთ მათი ღულუნით და შევიშროთ შრომის ოფლი, რომელიც გამოზაფხულისა, ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში ასველებდა ისეც დასველებულს გურიის მიწას. პირველის შეხედულებით გლეხ-კაცს ეხლა არა უნდა ჰქონდეს-რა საზრუნავი და სამწუხარო; მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის. ზამთარი დადგა, მაგრამ ზამთარშიც მოსვენება ვერ უპოვია გლეხ-კაცს. თქვენ თვითონ დააკვირდით ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობას და მიხვდებით, მოსვენებულნი და დამშვიდებულნი უნდა ვიყვნეთ თუ არა. წრევანდელმა შრომამ თითქმის ნახევრობით უნაყოფოდ ჩაგვიარა უმეტეს ნაწილს გურულებისას: ჩვენი ჯაფა არ დაჯილდოვდა ჰირნახულის მოსავლით. ვისაც მოჰყავდა თავისი საყოფი საზრდო და 400-500 ფუთამდე კიდევ ყოველს წელს გაჰყიდდა სიმინდსა და ლომს, წელს ძლივს თავისი საყოფი მოუვიდა და გაყიდვამ კი თქვენი ჰირი წაიღო. ეხლა წარმოიდგინეთ იმათი მდგომარეობა, რომელნიც კარგის მოსავლის დროს მხოლოდ თავის საყოფს ჰირნახულს ძლივს მოიმკიდენ ხოლმე და წრეულს

და მედიდურია მის წაკითხვის შემდეგ და ბრძანებს:

„... მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩამნი სპანი,
გამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი,
შეეწივნეთ, მშვიდობისა ნუ თუ მისცეს ღმერთმან გზანი“.

როსტევანი ბრძანებს ამას და თან გრძნობს, რომ ასრულებს იმის სურვილს, ვის დაკარგვასაცა ჰგლოვობს.

რუსთაველის მე-XII საუკუნის გმირებში ყველაზე მეტად ეს ხასიათები გვანცვიფრებენ ჩვენ. ვერაფერს ამ გვარს ადვილად ვერ იპოვით ამ დროინდელ თხზულებებში. ერთი ფრანსიელი კრიტიკოსთაგანი (პოლ ალბერ) ამბობს თავის თხზულებაში, „სწავლა პოეზიაზედ“, რომ როლანის ლექსი არ შეიცავს გრძნობათა შეუმჩნეველ მიმოკრთომის გამოხატვასა და რომ მასში სრულიად არ მოიპოება ღრმა აზრიანი ადგილებიო (კიდეც ამითი განსხვავდება უმთავრესად «ვეფხვის-ტყაოსანი»), და ამას დასძენს; „რაიცა შეეხება ხასიათებს, ეს ხასიათები მხოლოდ ოდნავ არიან დასახულნი და ესკიზებს წარმოადგენენ: კარლოს დიდი, დიდი იმპერატორი თეთრ-თმიანი და თეთრ-წვერიანი თავს-მჯდომარეობს ბარონების ბჭობის დროს, მაგრამ თაოსნობას სრულიად მოკლებულია. იგი, ჩვეულებრივ, ეთანხმება იმათ, რომელნიც უკანასკნელად ელაპარაკებოდენ... ერთის სიტყვით, კარლოს დიდს არაფერი არ შეუძლიან წინ-და-წინვე დაინახოს, ვერაფერი საქმე ვერ შეუძლიან მოშალოს და ან მოისურვოს,—მაგრამ ტირილით კი ხშირადა სტირის და იგლეჯს თეთრს წვერებს“, მართალია, ჩვენი ქართული გმირებიც სტირიან, მაგრამ ისინი ამასთანავე მამაცად ადგანან ყველა თავის გზას; თითოეული მათგანი მისდევს თავის როლს და არ ღალატობს მას, არა ჩერდება შუა გზაზე და ასრულებს თავისს სურვილს. მეორე შესანიშნავი პირი, დახატული რუსთაველის მიერ, არის ასმათი, განხორციელება დედობრივი სიყვარულისა, რომელიც თავ-დადებამდე მიდის. სცენაზე გამოსვლისათანავე, ასმათი თამაშობს პოემაში პირველის ხარისხის როლს, რომელიც ხელოვნურად არის დაწერილი და რაც უფრო-და-უფრო შორს მიდიხარ, უფრო მეტად საინტერესო ხდება. ეს იყო, რომ თავი არ დარიდა და გაბედა ნესტანის წიგნის წაღება ტარიელთან, ეს იყო, რომ აიტანა ყველა უსიამოვნო ამბავი ნესტანისა და ტარიელის უბედურის სიყვარულისა, ეს იყო, რომ ტარიელს თავი არ დაანება, როცა ის გაჭირვებაში და ჭირში ჩავარდა. მერე რა ნაზია და რა მამაცი იმ სცენაში, როდესაც ავთანდილს ძალით უნდა ათქმევინოს ტარიელის ამბავი. სიკვდილს უფრო ირჩევდა იგი, ვიდრე ამბის თხრობასა და ტარიელის საიდუმლოს გამჟღავნებასა. მაგრამ როდესაც მან შეატყო ავთანდილს, რომ ისიც გამიჯნურებულია, მისი გულის მოლბა და მოუთხრა ყოველივე.

ასმათის დახატვით რუსთაველი პატივსა სცემს არა მარტო ქალს, არამედ მთელს წოდებას, კასტას: კასტას დამდაბლებულთა—და ამ მხრით იგი ბევრით განსხვავდება თავის ევროპიელ თანამედროვეთაგან, რომელნიც აქებენ მხოლოდ მაღალს წოდებას და ზიზღით ექცევიან მდაბალ წრეებს, მდაბალ-წოდების პირთ, რომელნიც მათ თხზულებებში მხოლოდ იმიტომ გამოდიან, რომ ბატონებს შეეძლოთ გული გადააყოლონ და დრო გაგვატარონ მათის ცემით.

რუსთაველმა არცერთხელ ეს საქმე არ იკადრა. პირ-იქით მან მისცა კეთილშობილური როლი მოსამსახურეს და ამით თითქო იმას დამტკიცება უნდაო, რომ ადამიანის სული შეიძლება დიდი იყოს საზოგადოების ყველა წრესა და წოდებაში. ასეთივეა სხვათა შორის ტარიელის შეხედულობაც, რომელიც ისე კი არ უყურებს ასმათს, როგორც მონას, არამედ როგორც დობილს, ანუ უფრო კიდევ მეტად მიაჩნია და ისე უცქერის, როგორც

კი შუა ზამთრამდინაც არ გაჰყვებათ საზრდო. რა იყო მიზეზი მოუსავლობისა? გურიას, როგორც ზღვის ახლო მდებარე მხარეს, აქვს მეტად ნოტიო ნიადაგი, რომელიც წვიმების დროს სრულიად მავნებელი შეიქნება ხოლმე აქაურის პურის მცენარეებისთვის (ღომისა და სიმინდისათვის); „ნაგვალევსა დასცინოდე და ნაწვიმარსა დასტიროდეო“—ამბობენ აქაური მოხუცებულნი და ეს ხალხის თქმულება ნათლად დამტკიცდა წელს. როდესაც ქირნახული თავ-თავს იკეთებდა, ისეთი წვიმები დაიწყო, რომ გეგონა წარღვნა მოვიდაო და კიდობანს ვნატრობდით თავის გადასარჩენად. ამ წვიმებმა არ დააკეთებინეს თავ-თავი ქირნახულს იმ დრომდე, ვიდრე შემოსვლის დრო არ მოუვიდა, მაგრამ მაშინაც სიცივემ მოუსწრო და ამიტომ ყანები სრულიად გააფუჭა.

ეს კიდევ არაფერი... რაღაც ცოდვა გვეკითხა და გაზაფხულზედ, როცა თესვის დრო იყო, გაჩნდენ ერთ ნაირი თაგვები, რომლის მსგავსი ჩვენ ჯერ არ გვინახავს: როგორც დავსთესვიდით ყანებს, იმავე დღეს ერთი მარცვალიც აღარ გადარჩებოდა ამ გაონავრებულს ლაშქარს. ოთხ-ჯერ და ხუთ-ჯერ დავსთესეთ ზოგმა, მაგრამ მაინც ბევრგან გაამეოთხედა დანათესი. რაც გადურჩა თაგვებს, იმას დაეხვიენ დათვები და თითქმის სულ დაქელეს. აგრეთი უშიშარნი და გამწარებული დათვები ჯერ არ უნახავს აქ კაცს. დღისით მიდიოდენ სოფლებში, შედიოდენ ეზოში და უნამუსოდ მიირთმევდენ ხოლმე ჩვენს ნაწვავ-ნადაგს სიმინდს. სიმინდები ასე შემცირდა და, ღომი ვისაც ჰქონდა, უმეტესი ნაწილი დამჭახდა (ბოდა) და ახლა ვართ ასე მშივ-დაკარგულები. დავუმატოთ ამას ისიც, რომ ჩვენში წრეულს ღვინო სრულებით არ მოსულა და დამეთანხმებით, რომ ჩვენი მდგომარეობა სრულიად სახარბიელო არ არის, რადგანაც ქართველების ლხინი ღვინოა და ან ზამთარი, ან ბუხარი ულხინოდ და ულვინოდ გლეხისთვის ტანჯვის მეტს არას წარმოადგენს. წრევანდელი ულვინობაა მიზეზი, რომ სრულიად გაჰქრა ის მხიარულება, რომლითაც ძლიერ მდიდარნი ვიყავით გურულები; ქორწილებში და ნათლობებში ჩვეულებრივს ლხინს აღარა ვხედავთ; ყველა შავსა და ბნელს ფიქრს მისცემია: თითქო იმაზე დარდობს «ჩხავრის» ღვინო რად მოგვისპო იმ დალოცვილმა ღმერთმაო.

გურული გლეხი.

რუსეთი

გზის სამინისტროს განკარგულებით მომავალის წლიდამ წინადადებაა შემოღებულ იქმნას შემდეგი ახალი წესი რკინის გზებზე, საზოგადოდ: ბილეთები ასი ვერსისა, რომელნიც მოგზაურთ აუღიათ, 24 საათის განმავლობაში იქმნებიან მხოლოდ ძალაში; ორასი ვერსისა 48 საათის განმავლობაში და ამ გვარად ყოველს ასს ვერსა 24 საათი მიემატება.

ფოსტისა და ტელეგრაფის უმაღლესმა სამმართველომ შეადგინა და უკვე დაუგზავნა ყველა თვის ქვემდებარე დაწესებულებათა და უწყებათა ახალი წესდება ამ უწყება-დაწესებულებებში მოსამსახურეთა შესახებ.

მომავალს 1885 წელში სრულიად რუსეთის იმპერიაში ახლად გაწვრილ უნდა იქმნეს 224 ათასი ჯარის კაცი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო პეტერბურგში მცხოვრებ მაჰმადიანთა თხოვნას მეჩეთის აგების თაობაზე პეტერბურგში. ამის გამო ადგილობრივ მცხოვრებთ მაჰმადიანთა ხელის მოწერით შეუკრებიათ ექვსი ათას მანათამდის. მეჩეთის აგებას 1886 წლიდამ შეუდგებიანო.

ქახანოვის კომისიის გადაწყვეტილებას ეკუთვნის სხვათა შორის, — მომრიგებელ მოსართლეთა საქმეებისაგან გამორიცხულ იქმნენ სასამართლო-პოლიციური საქმენი.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

დეკემბრის 8.

მელბურნი. ხმებია, რომ ახალის ირლანდიის და ახალის ბრიტანიის ზოგს ადგილებში და ადმირალტეის კუნძულებზედ, ახალის გვინეის ჩრდილო ნაპირებზე გამოუფენიათ გერმანიის დროშა.

ვენა. ქვედა ავსტრიის ბანკის საფონდო განყოფილების გამგე იაუნერი დაიმალა და შემდეგ თავი მოიკლა. კასაში აკლია ორ-მილიონ გულდენზე მეტი.

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის სწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა სწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის სწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარაგლევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; გორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის სწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის სწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 დეკემბრიდამ 16 დეკემბრამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა—	—1 გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—	—1 გ. 2½
მეორისა— —	—1 გ. 2 კ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:	
პირველი ხარისხის	—1 გ. 4½
მეორისა— —	—1 გ. 3 კ.
მესამისა— —	—1 გ. 2½
ჯვარის-მამი პური:	
პირველი ხარის. ლავაში	1 გ. 4½
მეორის ხარის. ლავაში	1 გ. 3½

დას. ასმათი დაუჯილდოვებელი არა რჩება თავისი ნამაგარის სიყვარულისათვის. ტარიელი, რადგან დარწმუნებულია, რომ «ვინც სამსახური იცის, ის მართვასაც მოახერხებს»—აჩუქებს მას მთელს პატარა სახემწიფოს.

არ უნდა დავივიწყოთ ფრიდონიც, ეს დარდიმანდი მოქეიფე, რომელიც მუდამ მზად არის სამსახური გაუწიოს მოყვასს, მუდამ მამაცია და მუდამ თავ-გამომეტებული. ეს კი სიყვარულის გრძნებით არ არის შეპყრობილი—და იმიტომ კი არა, რომ მტერია ქალებისა, იმიტომ რომ მოციქულის წერილს მისდევს: «ვინც ცოლს ირთავს კარგად იქცევა, მაგრამ ვინც არ ირთავს—უფრო კარგს სჩადისო».

იგი ბედნიერია, თუ შემთხვევა აქვს უშველოს მეგობარს გულის საყვარელის განთავისუფლებისათვის (ჰყავს თუ არა თავად გულის საყვარელი? ფრიდონი მეტად ფრთხილია, რომ გვითხრას ჩვენ ესა), ხოლო დასასრულ, როცა ორი მისი მეგობარი დაქორწინდება, ეთხოვება მათ, ბრუნდება თავის სამეფოში და ალუთქვამს, რომ გნახავთ კიდევ, რათა დავსტკბე თქვენის საოჯახო ბედნიერების ხილვითაო.

ამ სახით, საპატიო აზრს წარმოვსთქვამ კიდევ ფარსადანზე, და ამით ვათავებ რუსთაველის პოემის მთავარ გმირების მიმოხილვას. ორიოდე სიტყვა კიდევ მრჩება სათქმელად თვით მოქმედების მსვლელობაზე, და იმ მოხერხებაზე, რა მოხერხებითაც პოეტი ცდილობს წაახალისოს მკითხველები, აღუძრას მათ ინტერესი. მაგრამ ამ საგნის შესახებ, ჩემის აზრის წარმოთქმისათვის, ეს რომანი მე ისე უნდა წამეკითხა, როგორც კითხულობენ საზოგადოდ რომანებს, ე. ი. ცოტაოდენის გულუბრყვილო უბრალოებითა და წრფელის ხალისით, რომელსაც ჰგონია, «que c'est arrivé». ჯერ მაშინაც კი, როცა საქმე შეეხება ეხლანდელს ნაწარმოებს, კრიტიკული მოპყრობა მათ მიმართ, ამცირებს მკითხველის დატკბობას, და მაშინ ხომ უფრო მეტად მცირდება ეს დატკბობა, როცა ხელში გიჭირავს უცხო ლიტერატურის უძველესი ქმნილება, რომელიც გულ-დადებით და ყოველ-მხრივ შესწავლას მოითხოვს. ეხლანდელი და მეტადრე ევროპიელი მკითხველი „ვეფხვის ტყაოსნისა“, ყოველ ფურცლის გადაშლაზე როდი დაიწყებს კითხვას: „იპოვის თუ არა ავთანდილი ტარიელს, ანუ შეირთავს თუ არა ტარიელი ნესტანსაო?“ იგი მოუთმენლად და სიყვარულით დაუწყებს თვალ-ყურის დევნას პოეტის აზრსა, ეცდება იპოვოს რაიმე ცნობანი იმ დროინდელ ზნესა და ჩვეულებაზედ და მხოლოდ იმის ზრუნვაში იქნება, რომ შეიტყოს: „რა ღირსებათა მიზეზით შეიქმნა დიდება რუსთაველისაჲ“.

ამ კითხვის პასუხად, თავი რომ მოუყაროთ ყოველსავე ზემოდ თქმულს, უნდა ვსთქვა, რომ «ვეფხვის ტყაოსანმა» აწარმოვა ჩემზე შთაბეჭდილება მაღალ-ხელოვნურის ქმნილებისა, რომელიც ერთად-ერთია თავის გვარ თხზულებათა შორის და მარგალიტივით ობოლი, რადგან მე ერთს ადგილსაც ვერ შევხვდი ამ პოემაში ისეთსა, რომელიც ამტკიცებდეს ქართველის პოეტის მიბაძვას წინანდელი პოეტებისადმი. თუ ალაგ-ალაგ იმას აქვს ამოკრეფილი ზოგიერთა აზრები ძველის ფილოსოფოსებისა, ეს გარემოება სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ პოეტი ჰბაძავდა ლათინთა და ბერძენთა მწერლებს; ეს ჰმოწმობს მხოლოდ იმის გონების შემუშავებასა და კულტურასა.

რაიცა შეეხება ხერხს შემოქმედობისას, გრძნობათა კეთილ-შობილებას, აღფრთოვანებას აზრისას,—ქართველთ შეუძლიანთ სიამაყით წარმოსთქვან, რომ მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომიროსისა, არც ვირგილიუსისა: იგი პირველიდამ უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთაველისებურია და მხოლოდ რუსთაველისებური.

ბარონ სუტნერი.

მესამისა — — —	1 გ.	3 კ.
ძროხის ხარჯი:		
პირველის ხარისხისა —	1 გ.	7 კ.
მეორისა — — —	1 გ.	6 კ.
სუჯი	1 გ.	14 კ.
ცხვრის ხარჯი —	1 გ.	7 კ.
ღორის ხარჯი:		
პირველის ხარისხისა —	1 გ.	7 კ.
მეორისა — — —	1 გ.	6 კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

თბილისის საადგილ-მამულო ბანკი

ამით აცნობებს ყველა მქონებელთა 1-ლი სერიის გირავნობის ფურცლებისა 18 წ. და 7 თვ. 27 წ. და 6 თვეულით გამოცემულთა, რომ ამ გირავნობის ფურცლების კუპონების გასავლების გამო, ტალონების შეცვლა იმ ფურცლებისა ახალ კუპონებზე დაიწყება იანვრის 1-დამ 1885 წ. ქ. თბილისში ბანკის სადგომში, პეტერბურგში და ვარშავაში — ვაველბერგთან, მოსკოვში — ლ. ს. პოლიაკოვთან, ოდესაში — ი. ხოესთან. ახალი კუპონის ფურცელნი მიეცემათ ძველის ტალონების წარმომდგენელთ სადერბო გადასახადის შეგრების შემდეგ — თითო გირავნობის ფურცელზე სამი აბაზისა; თუ გადაცვლა მოხდება კომისიონერებთან ამ გადასახადს საკომისიოდ დაემატება თითო შაური ყოველს ფურცელზე.

ფოსტით გამოგზავნის დროს გადასაცვლელ ტალონებისა განცხადებაში გარკვევით უნდა იყვეს აღნიშნული №№-ი სერიისა, ვადა და ღირსება მათი და ადრესი, რომლითაც ახალი კუპონის ფურცელნი უნდა გაიგზავნონ. ამას გარდა საჭიროა ზემოაღნიშნულს გარდა წარმოდგენილ იქმნას საფოსტო ხარჯიც, იმ ზომით, რამდენიც ტარიფით დაწესებულია ფულის გასაგზავნად. (3—1)

ქ. გორში.

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პიროტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე საზღვარგარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში 20 0/0 წინ მიღებით ზეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას გორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრასკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წვრილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

ქამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ — თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ. გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. ქამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; ჰირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოზ დიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

(12—7) ალალო თუთაევი.

ოდესიდამ მოსულს მასწავლებელს ქალს მუსიკისას, შტორხის მეთოდით სურს მისცეს გაკვეთილები.

ადრესი: „ელბურის" სასტუმრო.
(4—3)

რვეულები

ქართული წერისათვის, სახმარებელი ბოგებაშვილის დედანთან, ისყიდება შრიქერთოვის წიგნის მაღაზიაში და სარქისოვისაში. ფასი რვეულისა (ორ-თაბახ ნახევარი, ყდის გარდა) ერთი შაური. (5—2)

ჟურნალი „ნობათი"-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

„ნობათი"

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით — მშობელთა და აღმზრდელთათვის — მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

ჟურნალზე ხელის მოწერა. წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა — ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც — მაისში. რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში — ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში — მ. კ. ფურცელაძესთან და თელავში — ივ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ рсдакцію грузинекаго педагогическаго журнала „Нобати".*

(5—4) რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ
КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте
за *НАСТОЯЩУЮ*
БУМАГУ РИГОЛЛО
лишь ту, листы которой
имѣютъ поперегъ
сію подпись
красною
краской.

F. Rigollot

Продается во всѣхъ аптекахъ.

ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
Въ Парижѣ.

(32—30)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი

მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—82)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის აოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1885 годъ

на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету.

„РУССКІЙ КУРЬЕРЪ".

ГОДЪ ШЕСТОЙ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою въ Москвѣ:		Съ пересылкою въ города:	
На 12 мѣс. 8 р. 50 к.	На 6 мѣс. 4 р. 50 к.	На 12 мѣс. 9 р. — к.	На 6 мѣс. 5 р. — к.
„ 11 „ 8 „ — „	„ 5 „ 3 „ 90 „	„ 11 „ 8 „ 50 „	„ 5 „ 4 „ 60 „
„ 10 „ 7 „ 50 „	„ 4 „ 3 „ 25 „	„ 10 „ 8 „ — „	„ 4 „ 3 „ 70 „
„ 9 „ 6 „ 75 „	„ 3 „ 2 „ 50 „	„ 9 „ 7 „ 40 „	„ 3 „ 2 „ 75 „
„ 8 „ 6 „ — „	„ 2 „ 1 „ 90 „	„ 8 „ 6 „ 70 „	„ 2 „ 2 „ — „
„ 7 „ 5 „ 25 „	„ 1 „ 1 „ — „	„ 7 „ 5 „ 90 „	„ 1 „ 1 „ 10 „

За границу: на 12 м. 18 р., на 6 м. 10 р., на 3 м. 5 р. 50 к., на 1 м. 2 р. 20 к.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, домъ Н. П. Ланина; въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы, С.-Петербурга и другихъ городовъ и въ Парижѣ - *Rue Clément, 4, Adam* и въ коммиссіонерской конторѣ *Agence Slave, Place de l' Opéra, № 4-й.*

Г.г. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору изданія
„РУССКІЙ КУРЬЕРЪ"
Редакторъ-Издатель Н. П. ЛАНИНЪ.

(3—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 8 Декабря 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.